



მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა 2021“



2021 წლის 4-6 ოქტომბერს უნივერსიტეტ გეომედის ორგანიზებით გაიმართა მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა 2021“. სიმპოზიუმი ჩატარდა კახეთში, კაჭრეთში, ვილა „ამბასადორ კაჭრეთში“, სადაც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წარჩინებულ სტუდენტებთან ერთად მოწვეულნი იყვნენ უცხოელი მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნებიდან. სამედიცინო სფეროში არსებული



სიახლეების შესახებ ნაშრომები წარმოადგინეს გერმანიიდან, იტალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ნეპალიდან. უცხოელ კოლეგებთან ერთად უნივერსიტეტ გეომედის პროფესორებმა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მსოფლიო დონის დისკუსიაში და გამხდარიყვნენ დიდი სამეცნიერო უცხოეთიდან მოწვეულმა პროფესორებმა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის **ჰენინგსენი:**



მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებმა კანადიდან, მალაიზიიდან, ინდოეთიდან და საკუთარი სამეცნიერო კვლევები წარმოადგინეს უნივერსიტეტის წარჩინებულმა სტუდენტებმაც. მათ მკვლევარების ნაშრომებს, მონაწილეობა მიეღოთ ღონისძიების მონაწილეები. გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები: მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **პიტერ**

„მესამე საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე უნივერსიტეტ გეომედის მოწვევით ვიმყოფები. სიმპოზიუმი ძალიან საინტერესო იყო. ბედნიერი ვარ, რომ ამ აქტივობის ნაწილი მეც ვარ. მეოთხედ ვიმყოფები საქართველოში. ამ ქვეყნის შესახებ 6 წლის წინ შევიტყვე. გაოცებული ვარ საქართველოთი და ამ უნივერსიტეტით.“

ბამბერგის უნივერსიტეტის პროფესორი **კლაუს-კრისტინ კარბონი:** „ძალიან მომეწონა ეს კონფერენცია. მართლაც საერთაშორისო სიმპოზიუმია. გამომსვლელებმა წარმოადგინეს აქტუალური მოხსენებები. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მსგავსი ღონისძიებებით სტუდენტები სამეცნიერო სამყაროს ნაწილი ხდებიან.“

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბავშვთა ონკოპემატოლოგი **შტეფან ბურდახი:** „ჩემთვის ძალიან საინტერესოა საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მიღება და გარკვეული წვლილის შეტანა თქვენი ქვეყნის სტუდენტების მომავლის განვითარებაში. ზოგადად, პაციენტების უკეთ მკურნალობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გააერთიანო მეცნიერება და კლინიკური სწავლება. გეომედი სწორედ ამ გზას ადგას და უნივერსიტეტის სიძლიერე სწორედ ამაშია.“

2021 წლის 16 დეკემბერს უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა რიგით №15 თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარინა ფირცხალავამ. სტუდენტებმა წარმოადგინეს საინტერესო მოხსენებები. კონფერენცია წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ჟიურის მიერ გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებული სტუდენტები:

- I ადგილი - ნანა თევდორაშვილი** (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **მარიამ კალანდაძე**)
- II ადგილი - ნინო ტულუში** (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **თინათინ გაგოშიძე**)
- III ადგილი - ია ხუფაცარია** (სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **გიორგი მოდებაძე**)
- ჟიურის სიმპათია - ვერიკო გულიაშვილი** (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი **ჯარჯი ბუზარიაშვილი**)

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები და გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ სტიპენდიებით. მათი ნაშრომები გამოქვეყნდება უნივერსიტეტ გეომედის კრებულის „სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“ მე-15 ნომერში.

2021 წლის 17 დეკემბერს კი გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის აფილირებულმა პროფესორებმა და მოწვეულმა სპეციალისტებმა. კონფერენცია წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მათ მიერ წარმოდგენილ ნაშრომებს შეგიძლიათ გაეცნოთ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების 2021 წლის დეკემბრის კრებულში „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“.

2021 წლის 10 დეკემბერს უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სემინარი „Towards Successful Scientific Research“. მომხსენებლები იყვნენ გეომედის აფილირებული ასოცირებული პროფესორი თორნიკე ხოშტარია და ასისტენტ-პროფესორი არიან მატინი. მათ ისაუბრეს კვლევის დაგეგმარებისა და სტატისტიკის მაღალ რეიტინგულ, საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნების პრაქტიკის შესახებ. სემინარი ჩატარდა ინგლისურ ენაზე, როგორც დასწრებულ, ასევე ონლაინ ფორმატში, კითხვა-პასუხის რეჟიმში.

უნივერსიტეტ გეომედის მიერ გამოიცა პროფესორ თეიმურაზ თავხელიძის წიგნის „ზოგადი პათოლოგია“, მეორე გადამუშავებული გამოცემა, რომელშიც განხილულია ზოგადი პათოლოგიური ანატომიისა და ზოგადი პათოლოგიური ფიზიოლოგიის საკითხები. წიგნი განკუთვნილია სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ექიმებისთვის და პათოლოგიის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

2021 წლის 19 ნოემბერს, ეკონომიკის გომედის ავილირებული პროფესორი რევაზ სამეცნიერო სემინარზე წარსდგა შემდეგი ჯანდაცვითი ბიზნესის სახელმწიფოებრივი ინფორმაციის მოძრაობის, გაცვლის და დაცვის ხარჯების ოპტიმიზაცია, სტრატეგიული ბიზნეს-მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სემინარი პასუხის რეჟიმში.



მეცნიერებათა დოქტორი, სასწავლო უნივერსიტეტ ლორთქიფანიძე უნივერსიტეტის ყოველკვირეულ მოხსენებით: „ფიზიკა ეკონომიკაში - თანამედროვე აზროვნებისთვის.“ სემინარზე განხილული იყო საჭიროებები, ქსელური ტექნოლოგიებით მენეჯერული ტექნოლოგიები და მათი მექანიზმები ეკონომიკაში. ჩატარდა ონლაინ და დასწრებულ ფორმატში კითხვა-

2021 წლის 11 ნოემბერს სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურისა და ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა სასწავლო უნივერსიტეტ გომედის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან ნინო ჯიბლაძესა და ბექა ფერაძესთან.

ნინო ჯიბლაძემ და ბექა ფერაძემ ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტების სტუდენტებთან ისაუბრეს უნივერსიტეტში მიღებული განათლების, მათი გამოცდილების და კარიერული წინსვლის შესახებ. ნინო ჯიბლაძე - სააქციო საზოგადოება „ევექსის ჰოსპიტლები“ ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის ხარისხის მართვისა და პაციენტთა უსაფრთხოების სპეციალისტია, ხოლო ბექა ფერაძე - „თბილისი მედიკი“-ს ბიზნესის განვითარებისა და გაყიდვების ხელმძღვანელი და ლაბორატორიული დეპარტამენტის დირექტორი. შეხვედრაზე კურსდამთავრებულებმა გააცნეს მათ კომპანიაში არსებული ვაკანსიები. შეხვედრამ ჩაიარა საინტერესოდ აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმში.



2021 წლის 29 ოქტომბერს ბიბლიოთეკის ინიციატივით პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი-სემინარი თემაზე: სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების გზები. ტრენინგი-სემინარი ჩატარა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ - ნანა ცერცვაძემ. მან ისაუბრა სამეცნიერო ბაზების, EBSCO-სა და ELSEVIER-ის შესახებ; მაგალითების სახით წარმოადგინა არსებული მრავალფეროვანი წყაროების მოძიებისა და გამოყენების გზები მედიცინაში, ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, ჯანდაცვის მენეჯმენტსა და სტომატოლოგიაში. პასუხები გასცა დასმულ შეკითხვებს. ტრენინგი-სემინარი ჩატარდა ონლაინ და დასწრებულ ფორმატში.

2021 წლის 22 ოქტომბერს კი ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში“. მომხსენებელი იყო აა(ი)პ „ასოციაცია მეცნიერებისთვის“ პრეზიდენტი - თამარ ხახუტაშვილი. სემინარზე განხილული იყო სამეცნიერო ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. სემინარი ჩატარდა აქტიურ კითხვა-პასუხის რეჟიმში.



2021 წლის 15 ოქტომბერს, უნივერსიტეტ გომედში პროექტ „გიმნასიონი“-ს ფარგლებში ჩატარდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტის ნიკო ქაძანაიას ონლაინ მოხსენება თემაზე: „დამიანი და ბუნება“. მოხსენებაში განხილული იყო ხალხური მკურნალობის მეთოდები, სამკურნალო საშუალებები და წამლების დამზადების ხელოვნება ადრეულ საქართველოში.

2021 წლის 12 ნოემბერს კი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტის პანკვილ ნაიმეშვილემ პარიზის მიერ ონლაინ რეჟიმში წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სუშრუტა: ინდური მედიცინისა და ქირურგიის ფუძემდებელი“. მომხსენებელმა ისაუბრა ოპერაციის ტიპების, სამკურნალო წამლის სახეობების და ზოგადი ინდური სამედიცინო სისტემის შესახებ.

მოხსენებებმა აქტიური დისკუსია გამოიწვიეს. მასში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.



მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გაურავ ბჰატი

უნივერსიტეტ გომედში მედიცინის ფაკულტეტზე სწავლა 2015 წელს დავიწყე. სწავლის განმავლობაში არასოდეს მიგრძენია თავი საკუთარი ქვეყნისგან შორს. უნივერსიტეტის თანამშრომლები და ლექტორები არიან ძალიან მეგობრულები. გვერდით უდგანან და ეხმარებიან სტუდენტებს, აწვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას.

უნივერსიტეტი გომედი სტუდენტებს სთავაზობს ინტერაქტიულ ლექციებს, სემინარებს, ლაბორატორიულ სწავლებას, სამეცნიერო კვლევებსა და პრაქტიკებში მონაწილეობას. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისწავლონ კლინიკურ გარემოში. მნიშვნელოვანია სიმულაციური კლინიკის არსებობა უნივერსიტეტში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო მასალებით: სიმულაციური მოდელები, სამედიცინო ინსტრუმენტები და ა.შ. კლინიკური როტაცია ხორციელდება რეგულარულად და ტარდება საქართველოს საუკეთესო და მაღალ რეპუტაციურ კლინიკებში გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილია, რომელიც სტუდენტებს უზრუნველყოფს ბეჭდური და ციფრული რესურსებით. მისასალმებელია მათი პროფესიული, მეგობრული დამოკიდებულება და ყურადღება ჩვენს მიმართ.